

F 24  
1888



# სამეგრეო

საყოველ-ჰვირაო სალიტერატურო და საგეგმურო გაზეთი

1888 წელსა

№ 22

თიბათვის 26.

გაზეთი დინს: ერთის წლ. 5 მ., ხახ. წლ. 3 მ., ცალკე ნომ. 15 კ. ნელის მოწერა მიიღება: თბილისში, რედაქ. კანტორაში, ფოთში ბესარ. კალანდაქსთან. ადრესი გარეშე მცხოვრებთათვის: Тифлисъ, въ редакцію газеты „ТЕАТРЪ.“ გაზეთი ისყიდება: თბილისში ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში; და ბ-ნ ხიდდეკელთან—გოლოვინის პროსპექტზე.


საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენცია) გარკვევით უნდა იყოს დაწერილი. თუ საქირობა მოითხოვს წერილებს რედაქცია შესწორებს. რედაქცია არა კისრულობს წერილების უკან გაგზავნას და მათ შესახებ მიწერ-მოწერას. ყოველ წერილში უნდა იყოს მოხსენებული: სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი დამწერისა.

99

## ახალი ამბები

პრიკაზში დაგირავებული მამულების დამფასებელი კომისიის თავ-მჯდომარედ დაუნიშნავთ სახელმწიფო პალატის უფროსის თანამემწე ბ-ნი სირენკო, წევრებად: სახელმწიფო ბანკის განყოფილების მხრივ—ბ-ნი მანანოვი, მთავარ-მართებლის მხრივ—შელეიფერი. ამ დღეებში იქნება გამოცხადებული რა შეღავათიც უნდა მიეცეს სახლის პატრონებს. ამ გამოცხადებლად დაწყებული ერთი წლის გასვლამდე, სახლის პატრონებმა უნდა გემოაცხადონ სურვილი, რა გვარი შეღავათითაც ისურვებენ ღარჩენილი ვალის გადახდას.

მამომცემელი გაზ. „Тифл. Лист.-ისა“, ბ. ხ. ხაჩატუროვი, მთავრობამ დაამტკიცა ამავე გაზეთის რედაქტორად.



ჭალაქი ფულსა ჰხარჯავს მაწანწალა ძალღებას ამოწყვეტაზე, ძალღები კი დღითი დღე მრავლდებიან. მათრის მიედანზე, რაკი მგზავრის ფეხი მისწყდება, კაცს ველარ გაუვლია. ჭალაქის მმართველობის წვერთ ნეტა მოჰგონებაათ როდისმე იკითხონ სად, რაში იხარჯება ის 800 მან., რომელიც გადაღებულია ამ საქმისათვის.

ჭალაქის მმართველობაში შეუტანიათ მცხოვრებლებს ოთხი თხოვნა, რომლითაც ითხოვენ თურმე, რომ ქალაქის მმართველები მოელაპარაკნენ ბ. ბლანშოს, იქნებ იათად გაანათოს ქალაქის ქუჩები, მალაზიები და სახლები მლექტრონითაო. საკვირველია ზოგის საქმე! შანა ვისმე იკვი აქვს, რომ ბლანშო იათადაც და კარგათაც გაანათებს მბილისელებს.

ამის მაგალითად შეიძლება ვიქონიოთ ძართული ტიეტრის დარბაზი: როცა ვინდა ვერ აანთებ და თუ ანთე ისეთ დროს გაქრება, როდესაც სასურველი არ არის. წარმოიდგინონ ძვირფასი თვლების გამყიდველებმა, რომ ბლანშოს ელექტრონი ისეთ დროს გაქრა, როდესაც არა ხელწმინდა მუშტარი ევაქრებათ და ამოლაგებული აქვთ მრავალი თვლები და გაიგებენ, რომ ბლანშოს მაგიერ სხვა ვინმე უნდა მონახონ. ძაცი ზოგჯერ იმისთანა მდგომარეობაშიაც არის ხოლმე, რომ ინატრებს ბნელაში დარჩომას, მაგრამ ეს ისე იშვიათად ხდება, რომ არა ღირს ამისათვის ბ. ბლანშოს მაჰმართონ და ერთი ათად მეტი ხარჯი გასწიონ.

საერო განათლების მინისტრის განკარგულების თანახმად, აქაურ გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში თითო მოსამზადებელი კლასი უნდა დარჩეს.

როგორც შევიტყვეთ ჭუთაისში უნდათ დააარსონ მბილისის დრამატიული საზოგადოების განყოფილება. ღმერთმა ბძანოს! იქნება ამ გარემოებამ გამოაღვიძოს ჩვენი „საზო-



გაღობა,“ იქნება პატარა ფხა გამოაჩენინოს, თორემ... მეტად თავ-დანებებულია ეს საქმე. კომიტეტის წევრნი ამო-ირჩიეს ჰგონიათ, რომ თავიანთი მოვალეობა ამით შეასრუ-ლეს. აღარაგის აგონდება იკითხოს, ამ კომიტეტმა საზოგა-დობის საქმე წინ წაიყვანა, თუ უფრო უკან დასწია.

პროფესორი მდდისის უნივერსიტეტისა ბ-ნი პეტრია-შვილი სტუდენტებითურთ თბილისში იმყოფებოდა რამდენიმე დღე. ხუთშაბათს წაბძანდა თბილისიდან სხვა ქალაქებში.

მ. ბუნია უკვე შეუდგა თავის ახალი კალენდრის ბეჭ-დვას. ძალენდრის სიგრძე, სიგანე დაპატარავებულია, სისქით კი ამ წლის კალენდარზე დიდი იქნება.

პროფესორმა ბ-ნმა პეტრიაშვილმა და 12-მა სტუდენტ-მა, რომელნიც იმას მოჰყენენ, თ. ზ. ჯორჯაძის ღვინის სა-წყობი დაათვალიერეს და ბაქოში წავიდნენ ნავთის წყაროე-ბის გასაშინჯათ.

თალახის ქუჩაზე იპოვნეს ძახინჯი კატის კნუტი: ექვსი ფეხი აქვს და ორი კუდი. საეჭიძო გახედილებამ აივაზო-ვის აფთიაქში გაგზავნა სპირტში ჩასადეიად

### მეთოქის ძალი

ისტორიული მოთხრობა ფელიკს ლილლიასი.

(დასასრული).

— აქეთ მოდი მარიანა! საცოდავთ წიოდა მარიანას ძმა ხილიაირი. მარიანა მოვიდა გონზე, უნდოდა თავის გა-მომხსნელებისკენ გადასულიყო, მაგრამ ჰერცოგმა ხელი ჰკრა და უკან დააბრუნა.

— ნუ იჭერ, გამოუშვი მარიანა, საცოდავთ ყვეროდნენ ორივენი.

— არას დროს! დაიყვირა ჰერცოგმა. ძალით შემო-ცვივდით ჩემ სახლში და კიდევ მემუქრებით!



ამ ყვირილზედ ზალაში შემოვარდა ექესი ლაქია დამბაჩებთ.

მსროლეთ ამ ავაზაკებს! უბრძანა ჰერცოგმა.

— მოგვეცი მარიანა! რისთვის უნდა გვესროლოთ, შე სახლის დამწველო, ოჯახის დამლუპავო!

ჰერცოგმა კიდევ უბრძანა მოსამსახურეებს დამბაჩა ესროლოთ.

ამ დროს მარიანა გამოუსხლტა ჰერცოგს და გადვიდა ძმასთან.

ექესი დამბაჩა ერთად გავარდა.

ხილითარი წაიქცა და იქვე სული განუტყევა. მორენი მძიმეთ დაიჭრა. ახალგაზნდა ქალიც არ გადარჩა: ტყვია გულში მოხედა და იმისი უსულო გეამი უძრავად დაეცა იატაკზედ.

ამ დროს შემოასწრო უბრენმა და ნახა რა ეს ამბავი, თავზარ დაცემულმა წარმოსთქვა: „ეს ცუდი ხუმრობა არის!“

— მაშ რა შექნა! მე ვალდებული ვიყავ ამ ურცხვებისაგან დამეცვა თავი, ამისათვის მე არა ვარ გასამტყუნარი; მხოლოდ ძალიან ვსწუხვარ, რომ ჩემი მშვენიერი მარიანაც მოკლეს...

ჰერცოგი საჩქაროდ წავიდა პერსალში, რადგანაც ხალხის აღელებისა ეშინოდა.

ჰერცოგის ამ გვარმა ქცევამ დიდი ყაყანი და შფოთი მოახდინა არამც თუ პარიჟში, — მთელ საფრანგეთში.

შმაღლესმა პირებმა ხელმწიფესთან იჩივლეს. რიშელიემ იგრძნო, თუ რა უბედურობა მოხდებოდა და „ისურვა“ ხელოსანთან მშვიდობიანათ მორიგება, მაგრამ ის არა პირობაზედ არ დათანხმდა.

სახლის დაწვის ზარალი 120 ათასი ლივრი სასამართლოს გარდაწყვეტილებით მიიღო ღიუვალმა, მაგრამ ახალგაზნდა ვაჟი და ქალი კი სამუდამოთ დაკარგა. უბედურება ცოლმა ვერ აიტანა და ისიც მალე გამოეთხოვა წუთის სოფელს.

სახლის დაწვის შემდეგ ღიუვალს გადურჩა კანათის ნაწილი. ჯავრისაგან გათეთრებულმა, აიღო კანათი და წავიდა თავის ამხანაგთან, რომ იმის იარაღზედ დაეგრინა თოკი.

როცა იმან შეატყობინა თავისი გულის პასუხი, ამხანაგმა ჰკითხა: „რისთვის გინდა შენი, აქ ბევრი მაქვს მომზადებული და რომელიც გსურს—აირჩიე.“

— არა, ჩემო ნათლიავე! მიუგო მოხუცებულ დიუვალმა მწუხარე ღიმილით, მე არ შემძლიან ვისარგებლო შენი ნაწარმოებით. მე მსურს რომ ჩემი ხელით დავგრიხო თოკი და, თუ ჩემი პატივის ცემა გაქვს, მოუშვი ჩარხის თვალი.

— დიდის სიამოვნებით! მაგრამ შემატყობინე მაინც, რისთვის დაგჭირდა ეგ თოკი?

— ეს საიდუმლოდ უნდა დარჩეს, მიუგო მოხუცებულმა.

— ჰმ! როგორ არის მორენი? ჰკითხა ამხანაგმა.

— ჯერ ისევ საავათყოფოშია; ქქიმები ამბობენ რომ ეხლა შიში აღარ აქვს და მალე მორჩება.

დიუვალმა საჩქიროდ დაგრიხა სიგრიძით 10 ადლამდის წერილი თოკი, დაახვია და ჯიბეში ჩაიღო.

ჯაერისაგან გათეთრებული დიუვალი ეხლა პარიჟში იმისათვის იყო, რომ ელოდებოდა ანატოლ მორენის მორჩენას. ამის შემდეგ ისინი აპირებდნენ სამუდამოდ გადაკარგვას.

### III

შემო აღწერილი უბედურების შემდეგ თითქმის წელიწადმა გაიარა. ჰერცოგი დე-ფრონზაკი მობძანდა თავის მამულში, ბურჟუას ახლო, ბერში. მსკენისთვე იყო. შემოდგომამ დასდო თავისი ნიშანი ხეხილების ფოთლებსა და ბუჩქებს. ბადრი მთვარე რალაც თვალთმაქცურის სინათლით ანათებდა ტყეს. მკრი კაცი სიფრთხილით მიდიოდა ტყით, რომელიც ჰყოფდა ჰერცოგის მამულს მეზობლებიდან.

მრთი მათგანი მოხუცებული, სრულებით თმა გათეთრებული იყო, თუმცა ჯერ კიდევ გულოვანი და ღონიერი შეხედულობა ჰქონდა. მეორე კი—ჯერ ახალგაზდა და, როგორც

ეტყობოდა შეხედულობაზე, სამხედრო სამსახურში ნამყოფი ყოფილიყო.

— მს ის ბილიკია, სადაც ჩვენ უნდა მოვიცადოთ? ჰკითხა უნცროსმა.

— ღიან, სწორეთ ის ბილიკი არის. ზევრ - ნაირი წვალება და ცბიერება ვიხმარე, სანამ ამას შევითუბდი.

— მე მგონია, რომ ჩვენი ამოდენა შრომა მალე დაჯილდოვდება, თითქმის ერთი წელიწადია, რაც ჩვენ ამისთანა საბედნიერო შემთხვევას ვეძებდით სთქვა ახალგაზდამ.

— მხლა დადგა ქაში და მაგიერი ბოროტი უნდა გადუხნალოთ ჩემი შეილების მკვლელს.

— იმედი მაქვს, თოკი არ დაგავიწყდებოდა და თან წამოიღებდი.

— ბანა შეიძლება იმის დავიწყება!

— ჩემო მამავ, ღიუვალ! ნამდვილად იცი, რომ ამ ბილიკზე გამოივლის?

— შკვი არ არის!

— შუა ღამისას აქეთ რა უნდა, ნეტავ რა განძრახვა უნდა ჰქონდეს?

— ალბათ „ეისიმე ნახვა უნდა,“ ის ამ საქმის დიდი მოყვარულია.

— ნამდვილად იცი, რომ მარტო იქნება?

— მე დამარწმუნეს, რომ მარტო თვითონ გამოივლის ამ ბილიკზე და წავა, აგე, იმ მილლაში, რომელიც ტყის პირას სდგას... როგორც პირობა გვაქვს, სთქვა მოხუცმა, შე ლაპარაკს დაუწყებ, შენ ხელი სტაცე და წააქციე.

— დარწმუნებული იყავ, საყვარელო მამავ, რომ მარტო დაებლუჯავ მარიანას და ხილიაირის მკვლელს.

— შეილო მორენ! თუ ჩვენ დამლუპავს მაგიერი ბოროტი გადუხადეთ, მაშინ ჩვენ სამშობლოს თავი უნდა დავანებოთ. მე მზათა მაქვს ორი ბაშფორთი... თუმცა მოხუცისათვის ძნელია სამშობლოდამ გადაკარგვა, მაგრამ რა გეწყობა უნდა განგშორდე რაკი შემთხვევას მოაქვს.

შენ, საყვარელო ანატოლ, იქნება კიდევ როდისმე და-  
 ჰბრუნდე საფრანგეთში, მე კი მოხუცებული ვარ, და ნამდვი-  
 ლად ვიცი რომ უცხო ქვეყანაში ჩაყვრი ჩემ ძვლებს.

ამ ლაპარაკის დროს გამოჩნდა ტანალი კაცის ჩრდილი,

ღიუვალმა დაინახა თუ არა, წამოდგა და მძიმე კოკლო-  
 ბით გაღუდგა გზაზედ: „ბატონო, მოწყალება უბოძეთ სა-  
 წყალ კაცს, მოხუცების დროს ყოველი ნუგეში დავკარგე და  
 არაფერ არა მყავს გულის შემატკივარი!“

— ღიკარგე აქედამ! შეტუქსა ჰერცოგმა. შენ როგორ  
 შეგიძლიან, რომ ღამე უხედები მგზავრს და მოწყალებასა  
 სთხოვ?

— ბატონო, შემობრალე! შებდური ვარ. სახლი გადამი-  
 წვეს, ქალი და შეილი ერთმა ბოროტმა კაცმა დამიხოცა და  
 დაერჩი მარტო მე—საწვალეებლად.

— აა! მაშ მე მიცნობ შენ, შეგყვირა და უკან-უკან  
 დაიწია წამოსასხამში შეხვეულმა ჰერცოგმა.

— ძალიან კარგად გიცნობ! თქვენა ხართ დიდი მარ-  
 შლის შეილი, დე-შრონზაკი და მე—ღიუვალი, თოკის დამ-  
 გრები, რომელსაც სახლი დაუწვი და შეილები დაუხოცე.

— რა გინდა ეხლა ჩემგან?

— მოხუცებულმა ამაყად უთხრა: მე მინდა... შენი სი-  
 ცოცხლე!

ამ დროს სერჟანტი გადმოხტა ბილიკზედ, მაგრა ჩაავლო  
 ხელი ჰერცოგს, წააქცია მიწაზედ და თოკით შეჭკრა.

შათოკილი ჰერცოგი აწყდებოდა დედა-მიწას, კენესოდა  
 და სთხოვდა შებრალებას.

— არა! შენ ღირსი არა ხარ შებრალებისა, ყვიროდა  
 ღიუვალი... ანატოლ, თოკის წვერი გადაგდე ტოტზედ!

დასწიეს ძველ მუხის ტოტზე გადაკიდულ თოკს და  
 შრონზაკმა ჰაერში დაიწყო ტრიალი.

— მხლა ჩვენი ვალი ავასრულეთ! სთქო თოკების მგრებ-

მა. ანატოლ, მოკლე გზა ვიცი, წაივდიტ!.. თვალის დახამხამებაზე ხეებს მოეფარნენ.

მრი დღის შემდეგ იპოვნეს ჩამომხრჩვლი ჰერცოგის გვამი და საგვარეულოს საფლავზე დამარხეს. შოეელნარი მცადინეობა მოიხმარეს მკვლელების აღმოსაჩენათ, მაგრამ ფუჭად ჩაიარა იმათმა შრომამ, რადგანაც თოკების დამგრენი ღიუვალი და სერჟანტი მორენი „სამუდამოდ გადაკარგულგბად ირიცხებოდნენ.“

ამ გვარად იყო ეს სამწუხარო ამბავი.

გ. მჭ — ვი.

## გ ა მ ო ც დ ა

ღრამატოული ეტიუდი ბენედიქსისი.

(სტენა წარმოადგენს მამოს ოთხსს)

### გამოსვლა 1-ლი

მამო. (შემოდის, წერილი უჭირავს ხელში) წერილი-გი ჩემთან არის მოწერილი და ან ვიცი-გი ვისგან უნდა იყოს. (ხსნის წერილს და წერილში სხვა წერილი სძეკს. კითხულობს.) „უმორჩილესად გთხოვთ გარდასცეთ“... რა? გარდასცეთ? საკვირველია! სონას სასულჯა, სონას სწერენ და მე მთხოვენ, გარდასცე. დღეს მაინც დაპირებულია სონა, მოვალე; აქტრისად უნდა შესვლა, რჩევა უნდა მკითხოს; მთხოვა, გამომცადე, კეკარგები აქტრისად, თუ არაო. ნეტავი იცის, რამ წერილი დასვდება? იქნება აქ რაიმე საიდუმლო ამბავი? საიდუმლო იყოს-რა; მე სონას მკვრამარი ვარ, მოვალე ვარ შემწეობა გაუწიო და გაუწევ გიდეგ. (წერილს სტოლზედ დააგდებს) ვიდაც მოდის. სონა! (მიეგება).



## ბამონსლა 2-რე

მ ა შ ო ლ ა ს ო ნ ა .

ს ო ნ ა . გამარჯობა, მაშო! ხედავ, როგორ ჩემის სიტყვის ქალი ვარ, ვსთქვი მოკალ-მეთქი და მოკვდი კიდეც

მ ა შ ო . (მოეხვევა და შლიანასა და წამოსასხამს მოხდის). ძალიან შესიამოვნა შენი მოსვლა, დაჯექ. იმის საკითხველად მოსულხარ, ამას წინად რომ მეუბნებოდი? ნუ თუ მართლად აქტრისად შესვლასა ხარ მოწადინებული? კარგად მოითვქვრე, ასწონ-დასწონე, რომ შენი საქტიელი შემდეგში შენვე არ გაგისდეს სანახურად. თუმცა აქტრისას ფეხ-ქვეშ ფიანდასად ვარდებს უშლიან ხოლმე, მაგრამ ამ ვარდებს ეკალიც ბევრი აქვს, სიყვარულო სონა. აქტრისობა მარტო იმან უნდა მოიწადინოს და ივისროს, ვინც ნამდვილად ჭგომნობს რომ ნიჭი აქვს და გული მისწევს. კაი იმას, ვისაც ვარკანი ბრწყინვალეა და ზინილ-პიპილები თავ-ბრუს დაახვევს. შენ სსვა ბედნიერებაც მოგელის: დანიშნული ხარ და სიყვარულს კაცს შეირთავ. რად გინდა, რომ მართალი ბედნიერება სამადგურროზედ გასცვალო.

ს ო ნ ა . (მწუხარედ) წავიდა, გაჭქარ ეგ ბედნიერება!

მ ა შ ო . რას ამბობ? გამატებინე.

ს ო ნ ა . ნუ მკითხავ. მე უხარი ვსთქვი უოველსავე ბედნიერებასა და სიყვარულსედა; მაგიერი ნუგეში მინდა წმინდა ხელოვნების სამსახურში მოვიპოვო.

მ ა შ ო . ამისსენი, თუ ღმერთი გრწამს!...

ს ო ნ ა . გეტყვი, გეტყვი, ხოლო დღეს-კი არა, დღეს არ შემიძლიან; გაიმობ ჩემს ამბავს როდისმე, როცა გული გამითოვდება.

მ ა შ ო . შენი ნებაა, აღარასა გკითხავ. მაშ კვრე, უბედური ხარ და გული აქტრისობისაკენ მიგიწევს, ჭა? კარგი არ არის, კარგი. როცა კაცი ხელოვნებას დაუწყებს სამსახურს, ყველაფერი უნდა ანაცვალოს ამ ხელოვნებას; მხოლოდ მაშინ აბედნიერებს კაცს ხელოვნება, როცა გული, სული, დარდი, ნაღველი სულ ის გაგსდომია და შენი „ჭო“ და „არა“ იმას ეკუთვნის. მაგრამ ამასაც თავი დავანებოთ. შენა გსურს, გამოგცადო და შეგატეობინო:

ივარტებს სტენისთვის, თუ არა? ძალიან კარგი. მაშ უური დამიგდე: თუ გინდა აგრძნობინო მაყურებელს, რატა გსურს—სიყვარულით გატაცება, აღტაცება, თუ მწუხარება, ყოველსავე ამას თვითონ შენი გულიც უნდა ჰგრძნობდეს, ჯერ შენ თითონვე უნდა იგრძნო, რომ მეტე სსკას აგრძნობინო. შენი გული ჩონგური უნდა გაიხადო და ამ ჩონგურის სიძების ხმარებაც უნდა იცოდე, რომ იმ ხმას გამოსცემდეს, რომელიც მოინდომო. შეგიძლიან ეს, ძალია და ღონე მოგდევს, რომ ეს მოვალეობა თავს იღო?

სონა. მცადე.

მაშო. მაშ აბა ეს ერთი სიტყვა მითხარ: „მე მიყვარს“.

სონა. მიყვარს?

მაშო. დიაღ, ეს ერთი სიტყვა შეიძლება ხთას ნაირის კილოთი წარმოითქვას. წარმოიდგინე, რომ მე შენი დედა ვარ, შენ ჩემი ქალი და გინდა დედაშენს გამოუცხადო ის გრძნობა, რომელიც პირველად გიგრძნობს და პირველად გაღვიძებულა შენს უბიწო გულში. დედა გუებნება: (მოხუცის ხმით ამბობს) შენ ამ ბოლოს დროს როგორღაც გამოიცვალე, ჩემო შვილო: ყველას ერიდები, მარტობა გიყვარს; ხან სიწითლე მოგერება სახეზედ, ხან გაფითრდება; ხან მისიარული ხარ, მღერას დაიწყებ ხალქი, ხან მძიმედ ამოიხსრება. რა ამბავია, შვილო, შენს თავს? გადამისსენ შენი გული და შიგ ჩამახედე. ნუ თუ იმდენი სიყვარული არა გაქვს დედისა, რომ შენი ნაღველი უამბო და მწუხარება გაუსიარო?

სონა. (დიდის გულის-უურიით ისმენდა სიტყვებს. მაშო გაათავებს თუ არა სიტყვას, სონა თვალებს ჯერ ძირს დაუშვებს, მეტე აისვდავს მალა, მორცხვობით შეჰხედავს დედას; ისევ ძირს დაიწყებს უურებას, მივა, მოეხევა დედას და გულ-წრფელად იტყვის:) მე... მე მიყვარს!

მაშო. ძალიან კარგი. ვხედავ, რომ მიმიხვდი და გაიგე, რატა წელან გითხარ. წარმოიდგინე ესლა, რომ მსაჯულის წინა სდგებარ, პატომარი ქმარი მოტყუებით გაგინთავისუფლებია და ამიტომ გიწყურება მსაჯული. მსაჯული ამბობს: (მსაჯულისამებრ მკაცრისა და სასტიკის ხმით.) „შენ სიკვდილის ღირსი ხარ, ისე-



თი დანაშაული ჩაგიდენია: შენი დანაშაული ქვეყნისა და მართლ-მსაჯულების მოტყუებაა, ღალატია. შენ კანონისაგან დასჯილი კანონის წაართვი, უნდა სიკვდილს მიეცე და ამით ჭზღო შენი ბრალი. რას იტყვი და რითი იმართლებ თავსა!

სოხა. (მშვიდის და ამაყის ხმითა) რითი? იმით, რომ მე მიყვარხარ!

მაშო. (თავს უქნევს მოწონების ნიშნად) ესლა, ვსთქვათ, შენ ახალგაზდა, უმაწვილი ქალი ხარ. ერთი უმაწვილი სიყვარულს გიცხადებს და ამბობს: „ღარ შემიძლიან დაგთარო ჩემი გულის ნადები, გული თავისას ითხოვს და ნება მომეცე გულ-ახსნით გამოგიცხადო, თუ რა მწუხებს. შენა ხარ ჩემი ფიქრი, ჩემი ნატვრა; შენს გარეთ ვეღვაფერი მკვდარია ჩემთვის. შენა ხარ მხოლოდ შენ ჩემი სიცოცხლე, ბედნიერება და სიხარული! შემიძნედავ—ბედნიერი ვარ, თვალს ამარიდე-და—ტანჯვა გამიასკვნდებოდა სოლმე. მე თვითონაც არ შესმის, რა შემართება ერთი სიტყვა, ერთი სიტყვა ვმარა, მხოლოდ ერთი სიტყვა, რომ გაბუდნიერდე, ეს ერთი სიტყვა ჩემი სიყვარულია...“

სოხა. (იმევე ხმით) მიყვარხარ!

მაშო. მოათმინე. ისევე ის ამბობს: „ოჰ, შეისმინე ჩემი გედრება, ჩემი აჯა! თუ გებრალეები, თუ გინდა, რომ სამუდამო მწუხარებასა და ტანჯვას გადაძარჩინო, ერთი, ერთი ტკბილი, ალერსიანი სიტყვა გამოგებინე! (იჩოქებს და ხელებს აწვდის).

სოხა. (შერცხვება. ხელს გამოართმევს და ნელის ხმით.) მიყვარხარ! მეც მიყვარხარ!

მაშო. ვიდევ ვსთქვათ: ქმარი თავის ცოლს ცივად ეჩვივა, უგრძობელია და გულ-გრილია. ცოლი აუგედრის: (წვეწვის ხმით; ჩქარა-ჩქარა ღაზანაკობს.) დრო იყო, როცა ჩემ წინ მუხლ-მოდრეკილი იყუ და საუკუნოდ სიყვარულს მშინდებოდა; ესლა-კი უინულსაკით ცივი ხარ; არაფერს მელაზანაკები, გულ-გრილად შექცევი: ისადილებ, დაიძინებ; საღამოსედ წამოდგები, წახვალ კლუბში და ჭაღაღდას სთამაშობ. ეგ ხრის შენი. ცოლას ფიქრი? ცოლის ფიქრი, ცოლის დარდი სრულიად არ გწუხებს. მთელი დღე ვაზივარ სასლში მარტო, გარე-გამოკეტილი, ქრისტოანი სული არა

მუჟს ხმის გამცემი; ხეძოვის ანც ქვეყანა, ანც სიცოცხლე და ანც ბედნიერება. იქნება სრულიად არ გიუყვარვარ? მითხარ, გამაგებინე, რომ მეც ვიცოდე და სიუყვარულით თავი აღარ მოგაბეზრო სოღმე. მითხარ, კიდევ გიუყვარვარ, თუ არა?

სოხა. (ტულ-ტრილად) კარგია, კარგი; ხეძო მეგობარო! (ამთქნარებს) მიუყარხარ.

მაშო. (თავის დაქნევით უწონებს.) კსთქვით ასლა, მწერალი-ქალი აღტაცებაშია მოსული: ერთს ახალგაზდა ჰოეტს თავისი ლექსები წაუკითხავს ამ ქალისთვის, ძალიან მოსწონებია და თავის მეგობარს ქალს უქმებს: (აღტაცებით ამბობს) „ახ, რა მშენიერება! საუცხოოა, საოცარი! რამ იცოდე, რა ლექსებია! რა ნიჭი ეტყობა და რა გრძნობითა სწერს! მეორე ბაირონი დაგვებადა სწორედ, მეორე ბაირონი; ისიც ბაირონისავით სახელს გაითქვამს და დიდებას მოიპოვებს. ერთის სიტყვით, აღტაცებაში ვარ მოსული, სიხარულით თავს-ბრე მესხმის. არა, არა, არ დაუყარავ, დეე, უკვლამ გაიგოს და შეიტყოს, შეიტყოს იმანაც, რომ მე“...

სოხა. (იმავე ხმით დაბოლოვებს) ის მიუყარს.

მაშო. შენ გაბურთული ხარ, შენს მეგობარს რაღაზედაც უწერები. ის ბოდიშს იხდის: „რა არის ღმერთმანი, რასა ჯავრობს თითქმის ხუმრობა არ იცოდეთ; შეიძლება განა ეგრე გაწერომა ხუმრობის გამო. ხელი მომეც, გამხიარულდი, თუ გიუყვარვარ“...

სოხა. (ყინიანად) სულაც არ მიუყარხარო.

მაშო. სოფელში მამასახლისის ცოლს გაუგია, რომ ხემს ქალს მეველე უყვარსო და სტუქსავს: (მგაცრად ლაპარაკობს, გლეხის დედაკაცის ხმით.) „შე არ დასაცალებულე, შენა! არა, როგორ გაიტარე ეგ გონებაში, ჭა? რამ მოკვდე და გასკდე, ჩვენს მწვისჭვილეს უნდა მისთვისდე; მამაშენი დაჭვირებია შენს თავს; თუ კიდევ გამოგია, რომ მეველესთან ჭებუღხარ, სუ ბუწუწებს დაგაგლეჯ! დამაცადე! ისეთი დდე დაგაყენო, რომ მეორედ კვლარ გამობედე“...

სოხა. (იმავე კილოთი) მე მიუყარს!

მაშო. ქალი კი თავისას ამბობს და არ მორჩილდება დედას: „არ მინდა, არ შევირთავ მწვისჭვილეს. სამაგელი კანია, ბუბე-



რი, უნგანნი, შიშლით სამს კვირაზე დამატლებს, სულს ამომხდის. რაც უნდა მიუო, ჩემს საყვარელს არ ვუღალატებ! ერთი და ერთი გეუბნები, რომ შეველე“...

სონა. (გაჭირვებულად სმითა და ფეხების ბაკუნით აშობს.) მიყვარს, მიყვარს, მიყვარს, ახლა?

მამო. შენ განსლოვდება უმაწილი კაცი, თავ-ქარინი, ქა-რაფშუტა და ამაყი. იმას თავისის თავის მეტი არა ახსოვს-რა. ცა ქუდად არ მიახნა და დედაშიწა ქალამხად. მოდის შენთან და გეუბნება: რა მშვენიერი ხარო! თქვენი მშვენიერი თავები და ფეხები კაცს ცნობასა სტაცებენ. თქვენი წერწეტი ტანი კაცის თვალსა და გულს თავისკენ იზიდავს! გეფიცებით, რომ ჩემი გული თქვენი ტუჩა, გეფიცებით, რომ...

სონა. (იმევე სმით) მიყვარსარო.

მამო. შენ ზიზღით ზურგს აქცევ, პირს უბრუნებ და ეუბნები...

სონა. (ამაყად და ზიზღით) მე რომ არ მიყვარსარო!

მამო. შენ ერთი შენი შორეული ნათესავი გთხოვლობს. ეს შენი საქმრო გულ-მშრალი და გულ-გრილი კაცია და ქორწინებას ისე უუურებს, როგორც ვაჭრობას. ის ამბობს: (დარწმუნებით, გულ-ცივად და უგრძობლად ღაზარაკობს.) უძლიეს მოკრჩით და მოკარბოვით ეს ფრად სასარგებლო საქმე. ჩვენი მშობლები სისარულით დაეთანხმნენ ჩვენს ქორწინებას, იმიტომ-რომ საერთო შეძლებით ჩვენს საქმეებს ფეხზე დაკაყუნებთ. თუმცა ყველაფერი ასე მშვენივრად მოეწყო, შენ მაინც ხმას არ იღებ, არ გინდა დასთანხმდე. რატომ?

სონა. (ცივად) მე თქვენ არ მიყვარსარო.

მამო. აგრე ადვილი არ არის თავის დაღწევა ამ გარე ვაუბატონებისაგან. (იმევე სმით განაგრძობს:) უარ გიუკარგავ? ვითომ? ქალებს ყოველთვის უყვართ: ასეთად იმათი ბუნება. ნუ თუ მარტო შენ არ დაემორჩილები საზოგადო კანონს? ნუ თუ ისეთი გულ-ცივი და გულ-გრილი ანსება ხარო?

სონა. (მშვიდის სმით) არა, არა, მე თქვენ არ მიყვარსარო!

მაშო. (იმავე ხმით) მესმის, მესმის! ჭალები მაინც ეგრეთები ხარ: თუ პირით უარს ამბობთ, გულისთ მარადინებულნი ბრძანდებით. მე მაინც ჩემსას არ დავიშლი, დარწმუნებული ვარ, რომ გიყვარვარ. დამთანხმდი, დამთანხმდი, ნუღარ შენახუბი; გასდი ჩემი მშვენიერი გულისე.

სონა. (ცოვად და მტკიცედ ამბობს) მე თქვენ არ მიყვარხარ, გესმისთ, არ მიყვარხარ.

მაშო. აგერ ეს წავიდა. მეორე მოდის—ემაწვილი კაცი, რომელიც შენ გიყვარს; გიყვარს, მაგრამ ნამდვილად-გი არ იცი, იმასაც უყვარხარ, თუ არა? ემაწვილი კაცი თავისს გულს გინსნის და სიყვარულს გინსადებს. (მუდღერად და სიყვარულის ხმით) „მას შემდეგ, რაც შენ გაგიცანი, მთელმა ჭკუნიერობამ ფერი იცვალა ჩემთვის: მზემ სინათლე უფრო იმატა, ტყემ მშვენიერება და ჩიტების ჭიჭიკიც ისე მესმის, როგორც ღაზარაკი. შენ ხარ ჩემი მცოცხლებელი, შენ ხარ... ერთად-ერთი იმედი მაცხაკვლებს ამ ჭკუნად და ეს იმედი შენ ხარ? აჰ, რომ იცოდე, თუ რას ვინაშნავს ეს ერთი სიტყვა: „მიყვარს!“

სონა. (ხანგრძლივთ, მორცხვად და ხელის ხმით ამბობს) მე გიყვარვარ?

მაშო. ის ამბობს: „მომეც ვასუსი, გამაგებინე: თანაგრძნობა ჩემს სიყვარულს? გიყვარვარ, გინდა ჩემი შეიქმნე საუკუნოდ. შენ აინთე, წამოწათლდი, პირი მომარიდე; გატუბ, რომ გიყვარვარ, მაგრამ შენს ტურთა ბაკებს ვერ გაუბედნით ეს ჩემი მაცოცხლებელი და გამაბედნიერებელი სიტყვა წარმოსთქვან... შემომხედე, თვალს ნუ მომარიდებ და შენს თვლებში ამოვიკითხავ ჩემის სიტყვის ვასუსს; შენ ისეთის ალერსით მიუერებ, რომ დარწმუნებული ვარ...“

სონა. (აღტაცებით) გიყვარვარ!

მაშო. ეგრე, ეგრე. უოხად! მალიან კარგად სთქვი, მაგრამ თუ შეგატუო, რომ იმის სიტყვები გულ-გრძელად მიიდე, აი რას გეტყვის: (მწუნარეს ხმით) „მამარა, ვხედავ, რომ ჩემი ვედრება შენს გულს არა სწვდება და არ ალელვებს; დღეის შემდეგ ჩემი

ბედნიერება, ჩემი იმედები დარღვეულია და გამიცრუვდა, მხოლოდ იმიტომ-რომ...“

სო ნ ა. (დიდის სასო-წარკვეთილებით) მე შენ არ გიყვარვარ.

მ ა შ ი ა. ეგ სიტუვა მწუხარების გამომეტყველი სიტუვაა, მაგრამ შეიძლება, რომ ეგ სიტუვაც აღტაცებით წარმოსთქვას კაცმა. წარმოიდგინე, რომ დანიშნული ხარ, გული-გი არ მიგწევს შენს დანიშნულზედ და ძალა-უნებურად ემოწინილები მშობლების ნებისა და ირთავ. გულის განკალით მოკელი შენს დანიშნულს; ხოლო როგორც შენ არ გიყვარს ისა, ისე შენ იმას არ უყვარხარ და გიცხადებს, რომ შენი შერთვა აღარ შემიძლიანო. შენ ამ სიტუვამ გამოგაცნობს და სიხარულით იძახი...

სო ნ ა. (გახარებული) მართლაც არ გიყვარვარ?

მ ა შ ი ა. გათხოვილი ხარ, შენი ქმარი დროებით სადღაც მიდის და მარტოვა გტოვებს. შენ დიდის მწუხარებით ეთხოვები შენს ქმარს და მარტო რჩები, მაგრამ აკერ შენის ქმრის წუწვი მოლაღატე მეგობარი მოდის და სიყვარულს გიცხადებს. ქვეშ გეშლება და გთხოვს, რომ ნუ უარ-ჰყოფ ჩემს სიყვარულსა, თანამიგრძნეო. შენ-გი შეშინებული აშობ...

სო ნ ა. (შეშინებით და იმავე დროს ზიზღით) თქვენ გიყვარვართ, თქვენა?!

მ ა შ ი ა. მოდის შენთან ერთი შენი მეგობარი ქალი და გუბნება, რომ ვინც ვინც გიყვარსო. ბოროტი იტვი შეგიბურებს იმის სიტუვებზედ. შენი მეგობარი ისეთის სიყვარულითა და გრძნობით ახსენებს იმის სახელს, ვინც გიყვარს, რომ თავ-დავიწყებული წამოიძახებ.

სო ნ ა. (შეშინებული) ის გიყვარს, ისა.

(დასასრული შემდეგ №-ში).

## რ ე დ ა ქ ც ი ა ს ა ვ ა ნ

თბილისში მცხოვრებნი ხელის მოძვეწნი, შემოგვნივიან, რომ გასეთის №№-ბი თავის დროსე არ მისდით. ამ საჩივრის მოსასწობლად გადავწვიტეთ არ დავიშუროთ ცოტადენი სარჯი და ამის შემდეგ გასეთი ვგზავნოთ ქალაქის ფოსტით.

ამისათვის უმოწილესად ვთხოვთ თბილისში მცხოვრებთ ხელის მოძვეწთ დაუყოვნებლივ შეატყობინონ რედაქციას ნამდვილი თავიანთი ადრესები. ადრესებში უსათოვოდ უნდა იყოს მოსწენებული: ქუჩა, სასლის №-რი და სახელი და გვარი ხელის მოძვეწრისა. უაბისოდ გასეთი ვერ გაეგზავნებათ.

ვისაც გასეთი უფასოდ ეგზავნებათ, გარდა თანამშრომლებისა, იმათ უნდა წარმოადგინონ ეს ლავეთით მანეთი ადრესის ფასი.

ვინც ამ ფულს არ წარმოადგენს, იმათთვის გასეთის №№-ბი მიბარებულ იქნება თავად-ანსაურთა ქარვასლაში, ახლად გაღებულ „სარძეო“-ში.